იოსებ სიბოშვილი



# მეჩქანელი ქალაქი საოთიჯალაქი

თბილისი 2012

ვუძღვნი ქალბატონების ლენა კოტრინი-სიბოშვილის
და ლილი მაიერი-ჯარიაშვილის ნათელ ხსოვნას.

**იოსებ სიბოშვილი**

# გერმანელი შვაბები სართიჭალაში



თბილისი
2012

ჩვენი სამშობლოს ისტორიას თუ გადავხედავთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ ქვეყნის დამანგრეველნი უფრო ბევრნი იყვნენ, ვიდრე აღმაშენებელნი. ამ უკანასკნელთა რიგებს მიეკუთვნებიან საქართველოში მე-19 საუკუნის ათიანი წლების მიწურულს შემოსული და დასახლებული, ლეგენდის თანახმად ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში კავკასიიდან დაუსახლებელ ევროპაში წასული, გერმანელი შვაბები, რომლებმაც თურქ-სპარსთა და რუსთა მიერ დაქცეული ივერთ ქვეყანა, თავიანთი მუხლჩაუხრელი შრომით, ფეხზე წამოაყენეს.

ი.სიბოშვილის აღნიშნული წიგნი სწორედ მათ ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც დამყარებულია საარქივო მასალებსა და შვაბთა შთამომავლების გადმოცემებზე. კონკრეტულად კი წარმოდგენილია სოფელ სართიჭალის მოსაზღვრე დასახლებების: მარიენფელდის, პეტერსდორფის და ფრაიდენტალის გერმანელ შვაბთა ცხოვრება და მოღვაწეობა.

ISBN 978-9941-0-4119-3

© იოსებ სიბოშვილი - 2012

სოფელში, რომელშიც იმ დროს ხალხი დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. დასტურად საკმარისია ბარონ ჰაქსტჰაუზენის (1843 წ) სიტყვები: “მეოთხე ჯგუფს (სოფ. სართიჭალის გლეხებისა) აქვს მხოლოდ სახლი. ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება გლეხები, რომლებიც ქირით ცხოვრობენ სხვებთან”. 1859 წლის მონაცემებით, თბილისის მაზრის სართიჭალის უბნის სახაზინო გლეხის თითო კომლზე მოდიოდა საშუალოდ ცხენი 0.3, კამეჩი 0.8, ძროხა და დედა კამეჩი 0.3, ხარი 1, ხბო 0.3, ცხვარი და თხა 5, ღორი 0.9 და ვირი 0.09. აქედან კარგად ჩანს, რომ სართიჭალის არც ერთი გლეხი არ ყოფილა შინაური საქონლის საჭირო რაოდენობით მომარაგებული....

...რა მდგომარეობა იქნებოდა 1817 წელს, ყველას წარმოგვიდგენია....

...აი, ასეთ გაღატაკებულ ადგილას მოდის ადამიანი შვაბიიდან და სახლდება...

... რა არის ეს? დაუოკებელი სწრაფვა უფლისკენ თუ..... (?)

მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრობით. განვიხილოთ ისტორიული წყაროები, სააისერქივო მასალები, ლეგენდები, გადმოცემები და ჩვენ თვითონ გავაკეთოთ დასკვნა.

## ვინ არიან შვაბები?

ისტორიული სინამდვილე ამ ხალხის შესახებ ჩვენში დღემდე გასაიდუმლოებულია. წიგნებიდან ცნობილია მხოლოდ, რომ შვაბია შუა საუკუნეების გერმანიაში ჯერ საჰერცოგო, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ისტორიული ოლქი იყო, სადაც დასახლებულები არიან ალემანები. როგორც თვითონ შვაბები ამბობენ, დოკუმენტები მათი ისტორიის შესახებ, რომელიც გამოიკვლია დიდმა მხედართმთავარმა პეტრე ბაგრატიონმა, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის არქივებში ჩაიკეტა, ხოლო კომუნისტებმა ამ თემას ათმაგი ტაბუ დაადეს.

პეტრე ბაგრატიონი ევროპაში ომების დროს გერმანიაში, კერძოდ, შვაბიაში შეხვდა დიდებული წარმოშობის უნიჭიერეს მევენახე ხალხს, რომლებსაც მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად გაშენებული ჰქონდათ სხვადასხვა ჯიშის ვაზი და აწარმოებდნენ შესანიშნავ ღვინოს. პეტრემ მათთან საუბარში შეიცნო კავკასიური ფესვები, რაც გამოიხატებოდა მათ ენას, რწმენასა და კულტურაში. ისინი მეტყველებდნენ გერმანულისაგან განსხვავებულ დიალექტზე და იყვნენ არა ლუთერანები და კათოლიკები, არამედ განუყოფელი სარწმუნოების ხალხი, რომელთა რელიგია მართმადიდებლურისა და ხევისბერის ინსტიტუტის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა.

## ავტორისაგან

1941 წლის შემოდგომაზე სოფელ სართიჭალის მეზობელ მარიენფელდში, პეტერსდორფში და ფრაიდენტალში მცხოვრები გერმანელი შვაბები სასწრაფოდ გადაასახლეს შუა აზიაში. ამ ვანდალური აქტის შემდეგ უპატრონოდ დარჩა მათი სოფლები, ვენახები, ტაძრები, სასაფლაოები და სხვა. სამწუხაროდ მაშინდელმა ხელისუფლებამ შვაბების ისტორიული ძეგლები და სასაფლაოები არ შეიტანა ძეგლთა დაცვის სიაში, რამაც გამოიწვია მათი ძარცვა-განადგურება. საქართველოში ცხოვრების და მოღვაწეობის 123 წლის განმავლობაში მათ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს: ააშენეს ევროპული ტიპის სოფლები, შექმნეს შესანიშნავი სარწყავი სისტემები, გააშენეს ვენახები საუკეთესო ყურძნის ჯიშებით, დანერგეს შრომის კულტურა და სხვა.

შვაბების გადასახლების შემდეგ, ერთმა სართიჭალელმა სევდანარევი იუმორით შენიშნა: “გერმანელების მაგივრად ჩვენ უნდა გადავესახლებინეთ და შემდეგ ექსკურსიაზე ჩამოვეყვანეთ. მაშინ მივხვდებოდით რა მადლიან მიწაზე ვცხოვრობთო.”

სანამ მარიენფელდის, პეტერსდორფის და ფრაიდენტალის შესახებ დავიწყებდეთ თხრობას, გავეცნოთ სოფელ სართიჭალის ისტორიას, რომელმაც 1817 წელს უმასპინძლა შორეული გერმანიიდან ჩამოსულ შვაბებს.

სოფელი სართიჭალა მდებარეობს ძველი კუხეთის მიწაზე, დღეს გარე კახეთს რომ ეძახიან, მდინარე ივრის მარჯვენა მხარეს, სამგორის ველზე,თბილისიდან თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით. მის სამხრეთით უკვე გარეჯის მთები იწყება.

სართიჭალა ისტორიულ წყაროებში გვხვდება 1578 წლიდან. ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები თავიანთ ნაშრომებში სოფელს მოიხსენიებენ არა როგორც სართიჭალას, არამედ სათისჭალას: "ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდან, ვიდრე ტაშისკარამდე, მეფისთანა მყოფნი და იმ ზღვრების: აღმოსავლეთით ლილოს საზღვრით, რომელი განვლის შარობის ლილოსასა აღმოსავლეთ-სამხრითკენ ლოჭინამდე... მუნით განვლით სამგორსა ჩადივარს შუა და მრავალწყაროსა და სათისჭალას შუა". სართიჭალა სათისჭალად მრავალ ადგილას მოიხსენიება, რაც შეიძლება ასე აიხსნას: ჭალა მდინარის პირა ტყიან ადგილს ჰქვია. სათი კი, როგორც დიდი ლექსიკოგრაფები სულხან-საბა და ნიკო ჩუბინიშვილი მიუთითებენ, არის გიშერი. "სათი შავი ქარვაა, გიშერი", ადასტურებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც. ამ სიტყვას თვით დიდი შოთაც იყენებს: "ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა", ვკითხულობთ "ვეფხისტყაოსანში".

სათი შავი ქვა ანუ გიშერი მოიპოვებოდა თუ არა სართიჭალაში, ეს ცნობილი არ არის, მაგრამ შავი ფერის ქვა ივრის ხეობაში ბევრია, ალბათ, გიშერს მიამსგავსეს და შეიძლება ამიტომაც უწოდეს ამ ადგილს სათისჭალა.

რაც შეეხება სოფლისათვის სართიჭალის სახელწოდების მიკუთვნებას, მის თაობაზე ხალხში შემორჩენილია ორი ლეგენდა: პირველი ლეგენდა თემურ ლენგის შემოსევებს უკავშირდება. თემურმა გაშლილ მინდორზე ადვილად სძლია ისედაც დასუსტებულ და დანაწევრებულ ქართველებს და მათ ბოლომდე ასალაგმავად ივრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ჭალაში სისხლისმელი ტომი, სართები ჩაასახლა, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ ახლომდებარე დასახლებებს. მათი წასვლის შემდეგ ამ ადგილს ხალხმა სართების ჭალა უწოდა. მეორე ლეგენდა ამ ტერიტორიის ყიდვა - გაყიდვას უკავშირდება. ივრის ჭალის მფლობელ ბატონს ვალი ჰქონია მოსაზღვრე სოფლის ბატონისა. ვალის გასტუმრების დროს ფული დაჰკლებია, უთქვამს: "სართად კიდევ ჭალას მოგცემო." აი, ასეთი გაყიდული ჭალის სახელით არის კიდევ ცნობილი ეს ტერიტორია. ამ ლეგენდებიდან რომელია სწორი, არავინ იცის. ფაქტი კი ერთია, საქართველოს სამეფო კარი ყოველთვის დაინტერესებული იყო სართიჭალის მოშენება მოღონიერებით. ამას ვკითხულობთ საბუთში "არზა სართიჭალაში მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით", სადაც წერია: "სართიჭალაში დროებით ხის კოშკებიც დაუდგამთ და, რაც მთავარია, ამ მდიდარი სავარგულების მიტოვება არ სურთ გლეხებს, ოღონდ ეგ არის, მათ მხოლოდ მეფის ყმობა უნდათ, თავადის ყმობას კი გაურბიან".

ზემოთქმულისა და კიდევ სხვადასხვა მიზეზის გამო სოფელი ძირს ვერ იმაგრებდა, სანამ არ გაძლიერდა მე-16, მე-17 საუკუნეების მიჯნაზე დაარსებული წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარი. მე-18 საუკუნეში ეკლესია მონასტრად გადაკეთდა, იგი იყო საყდარი ეპისკოპოსისა და მრევლიც საკმაოდ ბევრი შემოუკრებია. მეზობელი სოფლებიდანაც კი ამ ტაძარში დადიოდა ხალხი სალოცავად. სოფელმა ტაძრის გარშემო იწყო დასახლება. მე-18 საუკუნეში წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესიიდან ცოტა მოშორებით, ვინმე გიორგი მირზიაშვილმა ააგო ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ამ ორი ეკლესიის მადლით სოფელმა სართიჭალამ არა მარტო დასახლება, გაძლიერებაც დაიწყო და საბოლოოდ დამკვიდრდა გარეჯის ქვეყანაში.

დიდი მადლი დატრიალდა სოფელში.

იოანე ზოსიმეს მიხედვით, ლაზარე ქართული ენაა-"და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან". სახარების მიხედვით თუკი ქრისტე ლაზარეს სტუმარია, იგი ქართული ენის სტუმარია. უფალი, მეორედ მოსვლისას, როდესაც ლაზარეს აღადგენს, ქართულ ენასაც აღადგენს და დაუბრუნებს მსოფლიო მნიშვნელობას, როგორც კაცობრიობის პირველ ენას. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ სიტყვა "ლაზარეს" ასოთა მარაგი 144-ს შეადგენს:

ლ(30) + ა(1) + ზ(7) + ა(1) + რ(100) + ე(5) = 144

"და გავიხედე და აჰა, კრავი, სიონის მთაზე მდგომარე და მასთან ას ორმოცდაოთხი ათასი, რომლებსაც შუბლზე აწერიათ მისი და მამის სახელი" (გამოცხ. 14.1).

ლაზარეს აღდგინება მოხდა ბეთანიაში. "ხოლო ბეთანია იერუსალიმის ახლოს იყო, თხუთმეტიოდე უტევანის მანძილზე" (იოან. 11.18). ე.ი. იერუსალიმში მდებარე სიონის მთა ლაზარეს აღდგინების ადგილიდან თხუთმეტიოდე უტევანის, ანუ 2775 მეტრის, მანძილზე მდებარეობს (ერთი უტევანი 185 მ.). როგორც გაირკვა, სართიჭალის წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძრიდან სართიჭალასთან მდებარე სიონის (სასიონო) მთამდე 2775 მეტრია ე.ი. (144) ლაზარე მაცხოვართან ერთად სიონის მთაზე უნდა გამოჩნდეს. "ბიბლიური ენციკლოპედიის მიხედვით, (თბ. 1998 წ.)" ბეთანია მდებარეობს ელეონის მთის საპირისპირო მხარეს... (გვ. 255) მართლაც, სართიჭალიდან და სიონის მთიდან ჩრდილოეთით მდებარეობს იალონის (იალნოს) მთა.

იალონის (იალნოს) მთის გასწვრივ, მდინარე ივრის გაღმა, მდებარეობს ქორების მთა. როგორც ვიცით, ქორების მთიდან მოსემ, უფლის შეწევნით, წყალი მისცა ეგვიპტიდან ამოყვანილ ხალხს. ჩვენი ქორების მთიდან გამოსული წყალი კი ჩაედინება მდინარე იორში და მალამოდ ედება წმინდა ნინოს, წმინდა დავით გარეჯელისა და წმინდა ანტონ მარტყოფელის მადლით აღსავსე კუთხის ველებს.

ისე რომ, ისრაელისა და სართიჭალის მიდამოებში ბევრი რამ ემთხვევა ბიბლიაში აღნიშნულ სახელწოდებებს: წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარი, სიონის მთა, იალნოს მთა, ქორების მთა, იორი-იორდანე.

რატომ არის სართიჭალასა და მის შემოგარენში ამდენი წმინდა ადგილი?

რატომ ცხოვრობდა აქ ადამიანი უძველესი დროიდან?

კითხვებს კითხვებითვე შეგვიძლია ვუპასუხოთ:

1. რატომ ააშენეს სართიჭალაში საკავშირო მნიშვნელობის რადიოსადგური, რომელიც უცხოეთის გადაცემებს ახშობდა?

2. რატომ იყო განლაგებული სართიჭალაში საიდუმლო კოსმოსური კავშირგაბმულობის სამხედრო ნაწილი და კოსმოსში გაფრენამდე რატომ გადიოდა ყველა კოსმონავტი სართიჭალის სამხედრო ნაწილში წვრთნას?

3. რატომ იდგა ცივ-გომბორის ქედზე წლების განმავლობაში ბურთის მაგვარი შენობა?

კითხვებზე პასუხი ერთია: ჩვენი წინაპრები მუდამ ახლოს იყვნენ უფალთან და სახლდებოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც სამყაროში გასასვლელი იყო. კომუნისტებმა ეს ყველაფერი შესანიშნავად იცოდნენ და ამიტომ ააშენეს სართიჭალასა და მის შემოგარენში აღნიშნული ობიექტები. აქ არსებული სამყაროში გასასვლელის გამო, კოსმოსიდან შესაბამისი სიგნალების მიღება გაადვილებული იყო.

ამბობენ, რომ ჩვენი მიწა-წყლის ღვთიურობა იყო განმსაზღვრელი სამშობლოდან გერმანელი შვაბების წამოსვლისაო. ბ-ნი გ. ბურჭულაძე თავის ნაშრომში "გერმანელთა ახალშენები ამიერ-კავკასიაში" (ტფილისი 1911 წელი) აღნიშნავს: "1800-იან წლებში გამუდმებულმა ომიანობამ ხალხი ძალიან გააღატაკა, ნამეტნავად სამხრეთ გერმანიაში . . . ხალხი ველარა ჰხედავდა ომისა და არეულობის დასასრულს. სწორედ ამ დროს ვიურტერმბურგის საერისთავოში გავრცელდა ხმა: "მოახლოვდა ქვეყნის დასასრული; მალე იქნება მეორედ მოსვლა; ეს არეულობა ომიანობა წინამორბედია ანტიქრისტეს მოსვლისაო; რომელ ქრისტეანსაც სურს ანტიქრისტეს დევნისაგან თავი იხსნას, უნდა გაიხიზნოს შორს აღმოსავლეთისკენ, საცა იესო ქრისტე აღადგენს თავის სამეფოსო" (გვ. 4).

1817 წელს საქართველოში შემოსული პირველი ოჯახები სართიჭალის მახლობლად დასახლდნენ (???). თუ არა ზემოთ ნახსენები ღვთის განგებულება, რა უნდოდათ მათ მაინც და მაინც სართიჭალაში?

შვაბებში არსებული ლეგენდის თანახმად, ისინი ჯერ კიდევ დაუსახლებელ ევროპაში, დაახლოებით ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნეში დამკვიდრებულან. როგორც მათ პეტრე ბაგრატიონს მოუყვნენ, ისინი წამოსულან კავკასიის ფერდობზე მდებარე სოფელ ბავარიდან (ამჟამად ლენტეხის რაიონი), ასევე დვალეთიდან და გერმანიაში დაერქვათ ალემანები (დვალები-ალები-ალემანები. ბავარი-ბავარია).

პეტრე ბაგრატიონის შეხვედრა შვაბებთან ანუ ქართველებთან, რა თქმა უნდა, უფლის ნებით მოხდა და მანვე შთააგონა, რომ საქართველოს აღორძინების გასაღები სწორედ ალემანების ანუ შვაბების თბილისსა და მის შემოგარენში დასახლებაში იდო. პეტრემ უფლის ეს შთაგონება თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა და დაიწყო გზების ძიება მის განსახორციელებლად.

პეტრე ბაგრატიონმა თავისი მეომრული წარმატებების გამოისობით სწრაფად დაიწყო აღზევება რუსეთის სამეფო კარზე. მის ყველა ოცნებას აღსრულება ეწერა, გარდა ერთისა, მისი სიყვარული ეკატარინე პავლეს ასულთან, რუსეთის იმპერატორ, ალექსანდრე პირველის დასთან ქორწინებით ვერ დაგვირგვინდა. ამისი საფუძველი პირველ რიგში პოლიტიკა იყო, ხოლო შემდეგ შური. სამეფო კარს არ უნდოდა, რომ განმეორებულიყო პეტრე პირველის მეფობის ისტორია და პეტრე ბაგრატიონის ქორწინებას ეკატარინე პავლეს ასულთან გადაეღობა მთელი სამეფო კარი. პეტრეს ესეც არ აკმარეს და როგორც ამბობენ, ბოროდინოს ბრძოლაში იგი მტრის ტყვიამ კი არ იმსხვერპლა, არამედ ზურგიდან ესროლეს. სიკვდილის წინ მან ეკატარინე პავლეს ასულს ანდერძად დაუტოვა აღესრულებინა მისი ოცნება შვაბების საქართველოში გადასახლების შესახებ.

პეტრე ბაგრატიონს შვაბების საქართველოში ჩამოსახლებით სურდა განევითარებინა აგრარულ-სამრეწველო საქმიანობა, აეშენებინა მათი მეშვეობით თბილისის გარშემო ქალაქები, შეექმნა უნიკალური ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობები, რაც ხელს შეუწყობდასაქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეს, რადგან ერეკლე II მიერ თბილისის გარშემო დასახლებული სომხები არაფრის გამკეთებელნი არ იყვნენ ქვეყნისათვის. ისინი წარმოადგენდნენ უპატრონო დაბალ ფენას, მისდევდნენ ძირითადად მეწაღეობას, იყვნენ ბრძოლის უუნარონი. ეს გუგულის ბარტყები მშვიდად გრძნობდნენ თავს სხვის ბუდეში და თავის მამა-მარჩენალს მადლობა იმით გადაუხადეს, რომ 1795-ში აღა-მაჰმადხანს წაგებული ომი მოაგებინეს. შვაბების ჩამოსახლება ამ პერიოდში სწორედ რომ დროული იყო.

შვაბების კავკასიური ფესვები იქიდანაც ჩანს, რომ სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე მდებარე მარიენფელდის დასახლებაში 1832 წლის კამერალური აღწერით ირიცხებოდა 35 კომლი. აქედან 23 ოჯახი მევენახე იყო. მათ გააშენეს სართიჭალაში შესანიშნავი ვენახები. ამ ადგილს დღეს ცუგროვანი ჰქვია. იგი წარმოსდგა გერმანული სიტყვისგან "ცუკერ ვაინ" (შაქრიანი ღვინო). მათ კიდევ ბევრი საქმის გაკეთება შეეძლოთ, მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1941 წელს ისინი კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლნი გახდნენ.

## გერმანელი შვაბების შემოსვლა საქართველოში, მათი საქმიანობა და ყოფა-ცხოვრება.

პეტრე ბაგრატიონის შეყვარებულმა ეკატერინე პავლეს ასულმა (რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის და), მას შემდეგ რაც გახდა შვაბიის დედოფალი, აღასრულა უკვე გარდაცვლილი, დიდი ქართველი მხედართმთავრის ანდერძი და რუსეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით საქართველოში გამოაგზავნა გერმანელი შვაბების პირველი ნაკადი 31 ოჯახი-სულ 118 ადამიანი. თუმცა რუსეთის ტერიტორიაზე შემოვიდა 531 ოჯახი, რასაც ადასტურებს საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრის და მრჩევლის ა. ფადეევის 1847 წლის 14 თებერვალს გენერალ-გუბერნარტორ, თავად მიხეილ ვორონცოვისადმი წარდგენილი პატაკი. ამონარიდი პატაკიდან: "ამიერკავკასიის მხარეში გერმანელი კოლონისტები ჩამოვიდნენ 1817-18 წლებში 531 ოჯახი, სულ 2607 სული ორივე სქესისა. მთავრობის მიერ კი გამოძახებული იყო მხოლოდ 31 ოჯახი. დანარჩენი 500 ოჯახის ჩამოსვლა იყო შემთხვევითი-რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე." (ფონდი 4, აღწ. 2, საქმე 586. გვ.5. თარგმანი ჩემია ი.ს.). როგორც პატაკიდან ჩანს 500 ოჯახი რუსეთში ლტოლვილის სტატუსით შემოვიდა. ალბათ, ეს ის ლუთერანი სექტანტები არიან, რომელნიც უფლის მეორედ მოსვლის იმედით მოდიოდნენ საქართველოში. მაგრამ რუსეთის მთავრობა არც ისეთი მიამიტი იყო, რომ ორი ათასზე მეტი კაცი ასე ადვილად შემოეშვა ქვეყანაში. რუსეთი ამ დროს ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში მასიურად ასახლებდა სხვა ეროვნების ხალხს, რათა კოლონისტების სახით დასაყრდენი ჰქონოდა თავისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად. გერმანელი სექტანტების გარდა მათ საქართველოში ჩამოასახლეს ბერძნები, ირანიდან და თურქეთიდან გამოყრილი სომხები, რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან შემოიყვანეს რუსები,

მალაკნები, დუხობორები. ერთი სიტყვით ყველა ისინი, ვინც იქნებოდა მათი დასაყრდენი ძალა საქართველოში ქართველობის და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოვლენებს გავუსწრებ წინ და შექმნილი სტრუქტურებიდან მხოლოდ სომხებმა "გაამართლეს" რუსთა იმედები, დანარჩენები კი, მცირედი გამონაკლისის გარდა, მეგობრულ ურთიერთობაში დარჩნენ ქართველებთან.

შვაბების პირველი ჯგუფი 31 ოჯახის შემადგენლობით თბილისში ჩამოვიდა 1817 წლის 21 სექტემბერს (ღვთისმშობლის შობის დღეს). ისინი დაასახლეს სართიჭალის მახლობლად და კოლონიას ეწოდა მარიენფელდი. ვფიქრობ, რომ აღნიშნული 31 ოჯახი პეტრე ბაგრატიონის მიერ შერჩეული ხალხი იყო, რომელიც კატარინა (ეკატერინე) დედოფალმა გამოაგზავნა საქართველოში. ესენი იყვნენ სწორედ ის განუყოფელი სარწმუნოების ადამიანები, რომლებიც შემდეგ იძულებით გაალუთერანეს და ამასთან მათ დროთა განმავლობაში ასიმილაცია განიცადეს გერმანელ სექტანტებთან. ეს ის შვაბები იყვნენ, რომელშიც პეტრე ბაგრატიონმა შეიცნო ქართული ფესვები. ეს ის ქართველები იყვნენ, რომლებიც ადრეულ საუკუნეებში გადასახლდნენ ევროპაში. ამის დასტურად მოვიყვან ამონარიდს წიგნის "შუმერების ანბანი, ქართულ ასომთავრულის" ერთ-ერთი ავტორის ბ-ნ ზ. ქაფიანიძის სიტყვიდან: "...გერმანული "ქომ ჰირ" (ქართულად "მოდი აქ"-ს ნიშნავს) სვანურად არის "ქომ გიე" ე.ი. სვანური "ქომ გიე" და გერმანული "ქომ ჰირ" ერთი მნიშვნელობის სიტყვებია". ან კიდევ, 2004 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარი გვამცნობს "ვალისის მთებსა და კალედონიის (ჩრდილოეთ შოტლანდია) ტყეებში კუნძულ ერინაზე ანუ იბერნიაზე (ახლანდელი ირლანდია) ბრიტანეთის მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა" (გვ. 115). არც არის გასაკვირი. ბერ-მონაზონი ნიკოლოზი (მაქარაშვილი) თავის წიგნში "წერილები ბიძას ჭადრაკზე" აღნიშნავს: "პირველნი ჩვენ ვართ ქართველები (იგულისხმება მსოფლიო ცივილიზაცია), მეორე იყო ინდოეთი, III-ირანი, IV- შუმერი ანუ შუამდინარეთი, V- ბაბილონი-ასურეთ-ურარტუ თუ რაღაც, VI- ისრაელი, VII- ეგვიპტე, VIII- ბერძნები-ევროპა...." (გვ. 14). ასე რომ სართიჭალის მახლობლად დასახლდნენ საქართველოდან წასული ქართველების შთამომავლები. ხოლო მათთან ერთად ჩამოსული სექტანტების 500 ოჯახი თბილისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილას დაასახლეს.

1819 წლის ბოლოს ამიერკავკასიაში სულ რვა კოლონია შეიქმნა, აქედან ექვსი საქართველოში განლაგდა. ესენი იყო:

1. მარიენფელდი 31 ოჯახით, კახეთის გზატკეცილზე (სართიჭალაში);

2. თბილისის კოლონია-ქალაქის მაშინდელ გარეუბან კუკიაზე (ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირის ტერიტორია) -51 ოჯახით. 1852 წელს ეს კოლონია, რომელიც ხელოსნებისაგან შედგებოდა, ქალაქს მიეკუთვნა, ხოლო 1861 წლიდან კოლონისტების სარგებლობაში არსებული მიწები სრულ საკუთრებაში გადაეცათ;

3. ალექსანდერსდორფი 23 ოჯახი (დაერქვა ალექსანდრე I-ის საპატივცემულოდ), მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისიდან ჩრდილოეთით, 6 ვერსის დაშორებით; დიდუბის სახაზინო მიწებზე (ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოები);

4. პეტერსდორფი 17 ოჯახით (სახელწოდება მიიღო პეტრე I-ის პატივსაცემად). ეს კოლონია დაარსდა მარიენფელდის მახლობლად (სართიჭალასთან);

5. ელიზავეტალი - 65 ოჯახით (სამხრეთში დღევანდელი ასურეთი). სახელწოდება მიიღო დასახლების ადგილის არჩევის დღესთან დაკავშირებით (1818 წ. ნოემბერი ახალი სტილით);

6. ეკატერინენფელდი 116 ოჯახით (სახელწოდება მიიღო ვიუტენბერგის დედოფლის ეკატერინე პავლეს ასულის საპატივცემულოდ). ეს კოლონია მდებარეობდა ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისთან, თბილისიდან 60 ვერსის მანძილზე. ჩამოსახლებული სექტანტების დიდი ნაწილი სწორედ ეკატერინენფელდში დამკვიდრდა, ეს ტერიტორია ამავე დროს შერჩეულ იქნა სექტანტების ხელმძღვანელთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. ამის გამო ეკატერინენფელდის კოლონიამ დაარსების დღიდანვე ყველაზე საპატიო ადგილი დაიკავა კავკასიაში არსებულ კოლონიათა შორის და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დიდ როლს თამაშობდა კავკასიელ კოლონისტთა ცხოვრებაში.

გერმანიიდან ჩამოსულთა გარდა საქართველოში, მოგვიანებით, სხვადასხვა ტერიტორიიდან მოდიოდნენ კოლონისტები. 1842 წელს რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულა გერმანელთა 10 ოჯახი. მათ კურორტი აბასთუმანი მოწონებიათ, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობების გამო, 1 ოჯახი რუსეთში დაბრუნებულა, 18 ოჯახს მარიენფელდთან ახლოს 370 დესეტინა აუღია. მთავრობამ მათ მატერიალური დახმარება აღმოუჩინა. ამ დასახლებას მარეიდენტალი უწოდეს. ერთი კომლი ბოლნისში მისულა და ეკატერინენფელდელ გერმანელებს შეხიზვნია. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსახლეობის ამიერკავკასიის მხარეში მოწყობის კომისია 1849 წლის 21 იანვრის 53 წერილით პატაკს უგზავნის გენერალ

გუბერნატორ, თავად მ.ს. ვორონცოვს: “....გერმანელი კოლონისტები, რომლებიც ამჟამად დასახლებულნი არიან ახალციხის “უეზდის” აბასთუმნის მინერალურ წყლებში, მიწების უკმარისობისა და სხვა მიზეზების გამო, მივიდნენ უკიდურეს გაჭირვებამდე. 1849 წელს, თქვენი ბრწყინვალების კეთილი ნების განკარგულებით, ისინი გადასახლებულნი იქნენ თბილისის “უეზდის” კოლონია მარიენფელდში, სადაც დაურიგდათ ქართული სოფლის სართიჭალის ნამეტი მიწები და მიეცათ დახმარება დასახლებისათვის. იქ უკვე მათ მოძებნეს საძოვრები, მომარაგდნენ საქონლით და ახლა უკვე ამზადებენ მასალებს სახლების მშენებლობისათვის (საქ. საისტორიო ცენტრალური არქივი ფონდი 4 აღწ. 2 საქმე 586. გვ. 410. თარგმანი ჩემია ი.ს.).

მარეიდენტალს სართიჭალელებმა აბასთუმნის დასახლება შეარქვეს. მარეიდენტალს საარქივო მასალებში ფრაიდენტალის სახელითაც მოიხსენიებენ (ასე ერქვა პირველ კოლონიას, რომელიც შეიქმნა აბასთუმნის მინერალურ წყლებში). მაგალითად: 1906 წელს, როდესაც შვაბები ითხოვენ მდინარე ივრის სანაპიროს გამაგრებას (წყალდიდობისაგან დასაცავად) სოფლების ჩამონათვალში მარიენფელდთან, პეტერსდორფთან და სართიჭალასთან ერთად გვხვდება ფრაიდენტალი. (ფ. 204. აღწ. 1 საქმე 1472) ე.ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სწორედ ის დასახლებაა, რომელსაც ზოგიერთ საარქივო მასალებში მარეიდენტალი ეწოდება.

1832 წლის კამელარული აღწერის მიხედვით მარიენფელდში ცხოვრობდა 35 ოჯახი. ჰყავდათ მშენებელი 1, მეკასრე 1, მკერავი 1, მეთუნუქე 1, ხარაზი 2, მეეტლე 1, მჭედელი 3, მეხორცე 2, 23 მევენახე და მიწის მუშა. პეტერსდორფში ცხოვრობდა 19 ოჯახი, მეხორცე 1, ზეინკალი 1, მელვინე 1, მევენახე-მიწის მუშა 15. (ფ. 254 აღწ. 1 საქმე 1334).

1818 წელს საქართველოში ჩამოსულ გერმანელებს შორის თითქმის ყველა სპეციალობის ადამიანი იყო, რაც მათ უადვილებდათ ყოფა-ცხოვრებას და სხვის ხელში შემყურენი არ იყვნენ. აი ისინიც:

მიწის მუშა 258, საპნის მკეთებელი 1, მეცხვარე 2, მექოთნე 3, ფეიქარი 30, მეკალათე 1, მევენახე 42, მეგვარჯილე 1, მეკასრე 10, ნემსის მკეთებელი 2, მეჩექმე 26, დაბაღი 2, ყასაბი 9, მელუდე 3, თერძი 26, კალატოზი 16, მეპურე 4, მჭედელი 9, ზეინკალი 2, მეშუშე 1, მექუდე 1, მემაუდე 3, დურგალი 8, ხურო 12, მეუნაგირე 1, მკინძავი 3, მიწის მზომელი 2, მელურსმანე- 1, მესაათე 1, მასწავლებელი 4, თოფის ოსტატი 2, ხარატი 1, მეწინდე 6, “კარეტნიკი” (ეტლის მკეთებელი) 3, მეხელთათმანე 2, მეწისქვილე 1. სულ 499 სპეციალისტი.

განსაკუთრებული ადგილი გერმანელი შვაბების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ეჭირა მევენახეობა-მეღვინეობას. ვენახების გაშენებას შვაბებმა ჩამოსახლებისთანავე-XIX საუკუნის 20-ანი წლებიდანვე მიჰყვეს ხელი. სავარგული მიწების დიდი რაოდენობა მათ საშუალებას აძლევდა სავენახედ შეერჩიათ საუკეთესო ნაკვეთები. ასე გაშენდა მარიენფელდელების მიერ დღეს "ცუგროვანად" (გერმანული სიტყვებიდან "ცუკერ ვაინ") წოდებული ვენახები. მათ ძირითადად ქართული ვაზის ჯიშები გააშენეს: საფერავი, რქაწითელი (შვაბები რქაწითელს "ორ-აბაზასაც" უწოდებდნენ, რადგან ამ ჯიშის პირველივე მოსავლის ღვინო თუნგი ორ აბაზად (40 კაპ.) იყიდებოდა. მაშინ, როდესაც სხვა ღვინოები თუნგი 15-დან 30 კაპიკამდე ღირდა), შავ-გაბიტო, მწვანე და სხვა. XIX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ შვაბებმა გააშენეს აგრეთვე ევროპული ჯიშები: მუსკატი, მადერა და იზაბელა, რომლებიც ევროპიდან გამოიწერეს მეფისნაცვალ ვორონცოვის ბრძანებით. მარიენფელდელი შვაბები აქტიურად თანამშრომლობდნენ ყარაბულახელ თავადებთან - ჩოლოყაშვილებთან. ვაზის სხვადასხვა სახეობების დამყნობით მათ მიიღეს შესანიშნავი ყურძნის ჯიში, რომელიც ახლა ხაშმის საფერავის სახელით არის ცნობილი. შვაბებმა თავისი შრომისმოყვარეობით და გამომგონებლობით (ეს შეეხება განსაკუთრებით ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობების შექმნას) იმდენად გაითქვეს სახელი, რომ მათ ბევრი მემამულე სთავაზობდა საკუთარ მიწებზე დასახლებას. მაგალითად 1860 წელს იყალთოელ თავადებს რევაზ და ათანასე მაყაშვილებს უთხოვიათ ხელისუფლებისათვის, რომ შვაბები დაესახლებინათ მათ მამულში-არაშენდასა და გოდლისში თელავიდან 10 ვერსის დაშორებით. ეს ადგილი შედგებოდა საუცხოო სახნავ-სათესი, სათიბი და საძოვარი მიწებისაგან, ჰქონდა კარგი ტყე და სასმელი წყლები-სულ 2000 დესეტინამდე ფართობი. მაგრამ თვითონ შვაბებს განუცხადებიათ უარი.

შვაბები თავიდან ვენახს ძირითადად თვითონ ამუშავებდნენ. ამ სამუშაოების წარმოებაში მონაწილეობას იღებდა ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრი. ყოველ 3-4 წელიწადში ვენახებს პატივს აყრიდნენ, ხოლო ყოველი 5-6 წლის შემდეგ ღრმად ბარავდნენ. აი რას წერს ბ-ნი გ. ბურჭულაძე თავის წიგნში "გერმანელთა ახალშენები ამიერკავკასიაში" (თბ. 1911 წ.): "ვენახები ძალიან კარგი ნაკეთებია. მთელ კავკასიაში ამისთანა კარგად ნაკეთები ვენახები არსად არ

მარიენფელდსა და პეტერსდორფში შვაბების სახლები ქუჩის პირას ჩამწკრივებული და თითქმის ყველა ერთსართულიანი იყო. წინ პატარა, ხოლო უკანა მხრიდან დიდი ბაღი აკრავდა. ქუჩის პირას მდებარე პატარა ბაღში ყვავილნარი, ვარდის ხეივანი და აკაციის ხეები იყო გაშენებული. ხოლო სახლის უკან მდებარე დიდ ბაღში ბოსტნეული და ხეხილი მოჰყავდათ. ყოველი კომლი ცალკე ცხოვრობდა თავის პატარა სახლში და მას ოჯახის სიდიდის მიხედვით აწყობდა.

პურის დაფქვას კოლონისტები წყლის წისქვილით აწარმოებდნენ. მოგების გაზრდის მიზნით ხორბალს მარცვლად კი არ ჰყიდდნენ, არამედ ფქვილად გაჰქონდათ ბაზარზე, რადგან ტექნიკურად ჩამორჩენილ რუსეთში ფქვილი 2-2.5 ჯერ უფრო ძვირი იყო მარცვალზე, მაშინ როდესაც გერმანიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ფქვილის ფასი მხოლოდ 25-30% - ით აღემატებოდა ხორბლის ფასს. მდინარე ივრის სანაპიროზე ამ დანიშნულებით რამდენიმე წყლის წისქვილი მოქმედებდა.

შვაბებს დიდი რაოდენობით მოჰყავდათ კარტოფილიც, რომელსაც ხორბლისა და ვენახის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მათ ეკონომიკაში, XIX საუკუნის დასასრულის მონაცემებით, თუ ფუთი ჩვეულებრივი კარტოფილი 80 კაპიკად იყიდებოდა, საადრეო ორი მანეთი ღირდა, ანუ 2,5 ჯერ ძვირი.

ვფიქრობ, რომ კარტოფილი ერთადერთი კულტურა უნდა იყოს, რომელიც პირველად გერმანელმა შვაბებმა გაავრცელეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თუმცა პირდაპირი ოფიციალური ცნობა ამის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ამას ადასტურებს მრავალი მოგზაური და მკვლევარი, რომლებიც იმ პერიოდში ან მოგვიანებით იყვნენ საქართველოში და მეტნაკლებად შეეხნენ ამიერკავკასიაში კარტოფილის გავრცელების საკითხს. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია გამბა, რომელიც 1820-1824 წლებში საფრანგეთის კონსულად იყო თბილისში. გამბა ამიერკავკასიაში გერმანული კოლონიების შექმნის ცოცხალი მოწმეა და ამდენად სავარაუდოა, რომ სწორედ გადმოგვცემს კოლონიების იმდროინდელ სამეურნეო მდგომარეობას: “გერმანელები ცხოვრობენ იმ სოფელში, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე გარეუბანს აკრავს. მათ ქალაქში შემოაქვთ მწვანილი, ერბო, ლორი და სხვა ძეხვეული. ამ

გერმანელთა მეტი ნაწილი ვიუტემბერგიდან არის გადმოსული. გერმანელთა ამ ახალშენს, აგრეთვე თბილისიდან 5 ვერსის მანძილზე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ახალშენს უნდა უმადლოდეს საქართველო კარტოფილის გაშენებას".

ამიერკავკასიაში გერმანელ კოლონისტთა მიერ კარტოფილის კულტურის გავრცელებას ადასტურებენ ცნობილი ეთნოგრაფი ჰაქსტჰაუზენი და მოგზაური ეიხვალდი. კარტოფილის კულტურის პირველ მიმდევრებად ამიერკავკასიაში გერმანელ კოლონისტებს ასახელებენ აგრეთვე მორენასი, შტუკენბერგი, ევეცკი და სხვები.

გერმანელი კოლონისტების მიერ ჩვენში კარტოფილის კულტურის პირველად გავრცელებას იზიარებს გ. ბადრიშვილიც. მაგრამ მის მოსაზრებას, რომ კოლონისტებს "მოგზაურობის დროს უეჭველად თან მოჰქონდათ კარტოფილი" არ იზიარებენ გ. მანჯგალაძე "გერმანელი კოლონისტები ტრანსკავკასიაში" (თბ. 1974 წ.) და პ. გუგუშვილი (მონოგრაფიები ტ. 1). ისინი ვარაუდობენ, რომ კარტოფილის მოყვანა მათ რუსეთის ხელისუფლების მიერ დაევალათ, სადაც ამ კულტურის მოყვანა დაიწყეს პეტრე პირველის მეფობის დროს. "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია" გვამცნობს: "კარტოფილის კულტურა შემოიტანეს სამხრეთ ამერიკელმა ინდიელებმა 14 ათასი წლის წინ. ევროპაში, კერძოდ ესპანეთში, გადმოტანილი იქნა დაახლოებით 1565 წელს. რუსეთში კარტოფილის გავრცელებას უკავშირებენ პეტრე I-ს, რომელსაც XVII საუკუნის ბოლოს კარტოფილით სავსე ტომარა ჰოლანდიიდან სამშობლოში გამოუგზავნია..." (ტ. 5).

მე, პირადად ვფიქრობ, რომ კარტოფილის კულტურა თუ რუსეთიდან შემოვიდა, იგი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში გაშენდებოდა საქართველოში, რადგან ამ პერიოდში გაცხოველებული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები მყარად იკიდებდა ფეხს ამ ორ ქვეყანას შორის. ასე რომ რუსეთს თვითონ უჭირდა კარტოფილის კულტურის გავრცელება თავის ქვეყანაში. გერმანელმა შვაბებმა შეისწავლეს რა წინასწარ საქართველოში არსებული მდგომარეობა,

ისინი ყველანაირად მომზადებულები ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და ყველა სიკეთესთან ერთად კარტოფილის თესლიც მათ ჩამოიტანეს. მე არ ვიზიარებ გ. მანჯგალაძის ვარაუდს, რომ: "....კარტოფილის ტუბერები უნდა დაეთესათ პირველად ჩვენში, ჩვენი აზრით, ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ, კოლონისტებმა იმდენი გაჭირვება და შიმშილი გადაიტანეს როგორც ოდესამდე, ისე ოდესის შემდეგ მოგზაურობის დროს, რომ საეჭვოა კარტოფილის ტუბერები კიდეც რომ წამოეღოთ, საქართველომდე ჩამოეტანათ.... ("გერმანელი კოლონისტები ტრანსკავკასიაში" თბ. 1974 წ. გვ. 75). იქვე დასძენს: "უფრო სავარაუდოა, რომ კარტოფილის თესლი კოლონისტებმა რუს ხელისუფალთაგან მიიღეს". ჯერ ერთი, გერმანელები საქმის ხალხია და გასამრავლებლად წამოღებულ კარტოფილის თესლს არ შეჭამდნენ. მეორე, თუ პეტრე I-მა ჰოლანდიიდან ერთი ტომარა კარტოფილი გააგზავნა რუსეთში,საქართველოში ჩამოსულ გერმანელებსაც ხომ შეეძლოთ მიეღოთ კარტოფილის თესლი გერმანიიდან. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელ კოლონისტთა სამეურნეო მდგომარეობის შესახებ 1919 წელს შედგენილ უწყისში კარტოფილის ნათესები არ იხსენიება (სსსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. I, საქმე 9791, გვ. 6-7), ხოლო შემდგომ წლებში შედგენილ ასეთ უწყისებში კარტოფილის კულტურას უკვე ვხვდებით.

აქვე გაგაცნობთ მარიენფელდში, პეტერსდორფში და ფრაიდენტალში გავრცელებული მემინდვრეობის წამყვანი კულტურების ხორბლისა და კარტოფილის მოსავლიანობას XIX საუკუნის მეორე ნახევრის სხვადასხვა წლებში:

(ტონებში)

| | კულტურის დასახელება | წლები | იმპერიული | ინგლისური | ამერიკული | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საგაზაფხულო ხორბალი | 1854 | 18.1 | 4.1 | 2.2 | 24.4 |
| | | 1863 | 22.9 | 6.1 | 1.6 | 30.6 |
| | | 1870 | 33.2 | 7.1 | 12.0 | 52.3 |
| | | 1883 | 18.7 | 5.9 | 1.8 | 26.4 |
| 2 | საშემოდგომო ხორბალი | 1854 | 116.6 | 37.2 | 9.7 | 163.5 |
| | | 1863 | 71.2 | 24.2 | 10.6 | 106.0 |
| | | 1870 | 92.7 | 38.5 | 23.6 | 154.8 |
| | | 1883 | 161.3 | 84.0 | 39.2 | 284.5 |
| 3 | კარტოფილი | 1854 | 3.17 | 9.3 | 8.7 | 49.7 |
| | | 1863 | 46.9 | 25.5 | 9.1 | 81.5 |
| | | 1870 | 66.1 | 31.7 | 14.2 | 112.0 |
| | | 1883 | 117.2 | 42.3 | 18.9 | 178.4 |

შენიშვნა: საარქივო მასალების მიხედვით პროდუქციის რაოდენობა აღრიცხულია ჩეტვერტებში. ერთი ჩეტვერტი უდრის დაახლოებით 9 ფუთს. ერთი ფუთი = 16.38 კილოგრამს ანუ 40 გირვანქას. (ჩემს მიერ რაოდენობა გადაყვანილია ტონებში ი.ს.)

მოიპოვება. ვენახს განუწყვეტლივ რწყავენ, ზამთარშიც კი. ამასთანავე ვენახს სასუქს (პატივს) აყრიან. ვისაც სასუქი არ ჰყოფნის და სასყიდლადაც ვერ უშოვნია, მთის ფერდობებზე და სხვა ნოყიერ ალაგას სთხრის ზედაპირს (შავ მიწას) და პატივის ბადლად ვენახს აყრის. ამ მოვლის გამო, ვაზი ძალიან ღონიერია. თუ ჩვენში საყურძნედ ერთ რქას ღუნავენ, გერმანელები ორ რქას ღუნავენ და ერთი ვაზიდან რამდენიმე ფუთი ყურძენი ჩამოდის. ჩვენში თუ ერთი დესეტინა იძლევა ასს ან ორას ვედრო ღვინოს, ამათთან ერთი დესეტინა რვაას ვედროზე მეტ ღვინოს იძლევა.

გაზაფხულზედვე გერმანელები შავ ყურძნის ყვავილს აბერტყავენ გარეულ ვაზის (კრიკინის) ყვავილის მტვერს. თუ კრიკინის ყვავილის მტვერი არ დავაბერტყეთ შავის ყურძნის ყვავილსაო, - ამბობენ გერმანელები, - ძალიან წვრილმარცვალა და ცოტა ყურძენი მოდისო.

იქ სადაც ახლო ტყე არ არის, საცა ჭიგოს მოჭრა შეიძლებოდეს, ამისათვის თავისუფალ და ვენახისათვის გამოუსადეგარ ალაგებში გერმანელებს თვითონ მოჰყავთ ეკლის (აკაციის) ხეები. ეკლის ხე ძალიან ჩქარა იზრდება, მაგარიც არის. სამი წლის ეკლის ხეს უკვე ჭიგოებად იყენებენ და ვაზს აკრავენ წნორის (ტირიფის) ტოტებით. შემოდგომაზე სჭრიან წნორის ტოტებს და ზამთარში მიწაში ინახავენ. გაზაფხულზე წყალში ალბობენ, წნორის ტოტები რბილდება და ღვედივით იხრება და ამ რიგად ხმარობენ ვაზების შესაყელად." (გვ. 17-18).

XIX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ შვაბების დიდი უმრავლესობა, შედარებით ღარიბთა გამოკლებით, ვენახებში მძიმე სამუშაოებს (ბარვა, თოხნა, უფრო მოგვიანებით შეწამვლა და სხვა) დაქირავებული მუშა-ხელის საშუალებით აწარმოებდა. ვენახებს სიმწიფეში შესვლისას შეიარაღებული ყარაულებით იცავდნენ. იმდროინდელ პრესასა და არქივებში მრავლად მოიპოვება მასალები, რომლებიც მოწმობენ, რომ ყურძნის მოპარვის შემთხვევაში შვაბები ხშირად ადამიანის სიცოცხლესაც კი არ ინდობდნენ.

რთველის დაწყებისა და დამთავრების დროს აცხადებდა სოფლის ადმინისტრაცია. რთველი, ჩვეულებრივ იწყებოდა სექტემბრის დასასრულს ან ოქტომბრის დასაწყისში და გრძელდებოდა 10-15 დღეს, რის შემდეგ ყარაული იხსნებოდა და ის მაცხოვრებელი, რომელიც ამ ვადაში ვერ მოასწრებდა ვენახის დაკრეფვას, შეიძლებოდა დაზარალებულიყო. რთველი ზეიმად იქცეოდა ხოლმე-სკოლები იხურებოდა, სახლებში რჩებოდნენ მხოლოდ ავადმყოფები და დიასახლისები. სოფლის მთელი მოსახლეობა  დიდი და პატარა ვენახებში მუშაობდა.

ყურძნის დაწურვა ხდებოდა სახლის ქვეშ მოწყობილ სარდაფში ან სპეციალურად გადახურულ ნაგებობაში. ღვინის დასაყენებლად

შვაბები იყენებდნენ ადგილობრივებისაგან განსხვავებულ ჭურჭელს-ხის კასრებს და როფებს (კასრები მზადდებოდა მუხის, ხოლო როფები ნაძვის ხის მასალისაგან). დიდ როფზე დგამდნენ უფრო მომცრო გადასატან როფს, რომელსაც ქვემოთ ნახვრეტი ჰქონდა  წვენის გამოსასვლელად. პატარა როფში ყრიდნენ ყურძენს და წურავდნენ პირველ ხანებში შიშველი ფეხებით, ხოლო შემდგომში სპეციალური ლურსმნით შემოჭედილი, განსაკუთრებული მეთოდით დამუშავებული მოწითალო მძიმე ტყავის ჩექმებით (ასეთ ფეხსაცმელს უფტის (ჰოლანდ) ჩექმებს ეძახდნენ). წითელ ყურძენს უფრო გულმოდგინედ წურავდნენ ფერის გამოსაცემად, რადგან ღვინო მით უფრო ფასობდა, რაც უფრო მუქი იყო. დიდ როფში ჩასულ წვენს აძლევდნენ ჭაჭას, ხოლო მცირე დასაწური როფი გადაჰქონდათ მეორე დიდ როფზე, სადაც თავიდან იწყებოდა ეს პროცესი და ა.შ. როფებში მაჭარს 2-3 დღეს გულმოდგინედ ურევდნენ, აჩერებდნენ კიდევ 3-4 დღეს კარგი ამინდის, 8-10 დღეს ცუდი ამინდის დროს, ვიდრე ჭაჭა ზევით არ წამოვიდოდა. დიდი როფების ფსკერზე გაკეთებული ნახვრეტებიდან სითხეს სპეციალური ხის ჭურჭლით ასხამდნენ სარდაფში მდგარ კასრებში, სადაც ღვინოს აჩერებდნენ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ადუღებამდე. კასრებს საცობის ნაცვლად ადებდნენ სპეციალურად შეკერილ ქვიშით სავსე პატარა ტომრებს, დუღილის დროს წარმოქმნილი გაზის გამოსაყოფად. დუღილის დამთავრების შემდეგ კასრებს პირამდე ავსებდნენ და ჰერმეტულად ხურავდნენ. ასეთ მდგომარეობაში ტოვებდნენ იანვრამდე, შემდეგ ღვინოს ახალ კასრებში გადაიღებდნენ და იგი უკვე მზად იყო მოხმარებისათვის და გასაყიდად. ჭაჭისაგან ხდიდნენ არაყს, რომელსაც ისევ როგორც ღვინის დიდ ნაწილს, ყიდდნენ.

მე-19 საუკუნის ცნობილი მეღვინე-აგრონომი პ. ძიუბენკო აღნიშნავდა: “მე თვით მიხდებოდა მენახა მათში (შვაბებში ი.ს.) არსებული დაწურვის წესები და მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კახეთში გაცილებით მეტი ცოდნა და მონდომებაა”. ამიტომ ისინი ჩქარობდნენ მის გაყიდვას. გერმანელებისაგან ღვინოს ყიდულობდნენ ღვინით მოვაჭრე სომხები, რომლებსაც იგი გაჰქონდათ ბაქოს, ელისავეტპოლისა და განსაკუთრებით თბილისის ბაზრებზე, სადაც გარკვეული ფალსიფიკაციის შემდეგ ყიდდნენ კახურის სახელით.

მე-19 საუკუნის ბოლოს უკვე გერმანელებმა გახსნეს ღვინის სარეალიზაციო სარდაფები და თვითონ აკეთებდნენ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას.

მევენახეობა  მეღვინეობით მიღებული დიდი შემოსავალი ხელს უწყობდა გერმანულ სოფლებში ამ დარგის განსაკუთრებით განვითარებას. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს მარიენფელდში, პეტერსდორფში და ფრაიდენტალში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ვაზისა და ღვინის რაოდენობის ზრდას:

(ლიტრებში)

| | კულტურის დასახელება | წლები | იმპორტი | ექსპორტი | საშინაო | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვაზის რაოდენობა (ცალებში) | 1853 | 110200 | 28800 | 371600 | 510600 |
| | | 1863 | 113400 | 26600 | 717099 | 857099 |
| | | 1870 | 128265 | 31400 | 866100 | 102765 |
| | | 1873 | 133475 | 46400 | 905600 | 108475 |
| 2 | მიღებული ღვინის რაოდენობა (ლიტრებში) | 1853 | 23600 | --- | 312640 | 336240 |
| | | 1863 | 51840 | 22880 | 185900 | 260620 |
| | | 1870 | 56800 | 20500 | 468500 | 545800 |
| | | 1873 | 59700 | 21100 | 526700 | 607500 |

შენიშვნა: (საარქივო მასალების მიხედვით ღვინის რაოდენობა აღრიცხულია თუნგებში. ჩემს მიერ თუნგები გადაყვანილია ლიტრებში ი.ს.)

მარიენფელდში, პეტერსდორფში და ფრაიდენტალში მისდევდნენ ხეხილის ბაღებისა და ბოსტნების გაშენებასაც. მე-19 საუკუნის მიწურულისათვის თითოეულ სოფელში საშუალოდ 2000-3000 მსხმოიარე ხე იყო. მაგრამ ხილი და ბოსტნეული შვაბებს იშვიათად გაჰქონდათ ბაზარზე. გასაყიდად უმთავრესად გამხმარ ხილს (ჩირს) ამზადებდნენ.

როგროც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, შვაბები მნიშვნელოვანი რაოდენობით აშენებდნენ მხოლოდ მსხვილფეხა რქიან საქონელს (უმთავრესად ძროხას) და ცხენებს. გამწევ ძალად ხარს ნაკლებად იყენებდნენ. წვრილფეხა საქონელს თითქმის არ აშენებდნენ. ისინი ამჯობინებდნენ შემოდგომაზე ხელსაყრელ ფასებში შეეძინათ ღორები მეზობელი ქართველებისა და სომხებისაგან, შემდეგ დაემზადებინათ ლორი და სხვადასხვა ძეხვეული და მნიშვნელოვანი მოგების მიღებით ნაწილი ბაზარზე გაეყიდათ. მეფრინველეობა და მეფუტკრეობა სოფლებში საკმაოდ იყო განვითარებული, მაგრამ მიღებული პროდუქტები მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის გამოიყენებოდა და ბაზარზე არ გადიოდა.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ შვაბები მუდმივად შრომით იყვნენ დაკავებულნი. შვაბების თანამედროვე გ. ბურჭულაძე გვიამბობს: "გერმანელი გამუდმებულ შრომაშია; უსაქმურად ვერა ნახავთ. თუ გერმანელს საქმე არა აქვს, სახლში ჩხირკედელაობს; ან ბოჭკებს უვლის, ან ფურგუნს, ან რომელსამე სადურგლო ან სამჭედლო საქმეს აკეთებს და მხოლოდ კვირაობით ისვენებს. კვირას გარდა სხვა უქმეები არა აქვთ. გერმანელებს კვირა ძალიან სწამთ. ამ დღეს არც თითონა მუშაობენ, არც საქონელს ამუშავებენ. კვირაობით ყველანი საუკეთესოდ ირთვებიან. ამ დღეს სამჯერა აქვთ წირვა: დილით დიდებისათვის, სადილთ უკან პატარებისათვის, შემდეგ მოზრდილთათვის და იმათთვის, ვინც პირველ ზიარებისათვის ემზადება.

გერმანელები ქრისტიანენი არიან, ლიუტერის რწმენისა. არც წმინდანები სწამთ, არც ბერობა, არც ხატები, არც მარხვა, არც საიდუმლოებანი, გარდა ზიარებისა და ნათლობისა. სწამთ მხოლოდ საღმრთო წერილი და ეკლესიში მხოლოდ სახარება უძევთ. ეკლესიის სხვა რაიმე სამკაული არ სწამთ.

გერმანელები მღვდელს პასტორს ეძახიან. პასტორს უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული. ჩაცმა-დახურვით პასტორი ერის კაცისაგან არ განსხვავდება. არც თმასა და წვერ-ულვაშს უშვებს, არც ანაფორას იცვამს, როგორც ჩვენი მღვდლები; არც წვერ-ულვაშს იპარსავს, როგორც ფრანგების მღვდელი. პასტორი არც ცხოვრებით განსხვავდება ერის კაცისაგან.შეუძლიან იყოს უცოლო და შემდეგ, პასტორობის დროს, ცოლი შეირთოს, თუ დაქვრივდა, მეორე ცოლის შერთვაც შეუძლიან. წირვის დროს პასტორი იცვამს ანაფორის მსგავს ჩასაცმელს და ყელზე თეთრ ყელსახვევს იკეთებს.

გერმანელების წირვა არის პასტორის ქადაგება, სახარების კითხვა და პატარ-პატარა საგალობელთა გალობა. საგალობლები ეს პატარ-პატარა საღმრთო შინაარსის ლექსებია, დაწერილები გერმანელების მოლექსეებისაგან.

ეკლესიაში მლოცველები სკამებზე სხედან. წირვა იწყება საგალობლებით, ხელში ყველას საგალობლების წიგნი უჭირავს, კედელზე ჩამოკიდებულია იმ საგალობელთა ნომრები, რომელიც იმ დღეს უნდა იგალობონ". ("გერმანელთა ახალშენები ამიერკავკასიაში" ტფილისი 1911 წ. გვ. 22-23).

სართიჭალასთან მდებარე სამივე გერმანული სოფლის მოსახლეობას ერთი ეკლესია (კირხე) ჰქონდათ, რომლის აშენების ზუსტი თარიღი საარქივო მასალებში არ მოიპოვება. გადმოცემით ევანგელიურ-ლუთერული ეკლესია უნდა აეშენებინათ მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე (სამწუხაროდ დღეს ეკლესიაში კულტურის სახლი ფუნქციონირებს და სცენა საკურთხეველშია განლაგებული). კომუნისტებმა რამდენჯერმე სცადეს კირხეს დანგრევა, მაგრამ მაშინდელი ტექნიკით ეს ვერ შეძლეს.

## ...ეს არ უნდა მომხდარიყო... სართიჭალელები მათ არ დაივიწყებენ...

მარიენფელდი, პეტერსდორფი და ფრაიდენტალი თავისი კეთილმოწყობილი ქუჩებით, კოპწიად ჩამწკრივებული სახლებით, ვარდებით მოფენილი ტროტუარებით, ლარივით გასწორებული სარწყავი არხებით ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე.... მაგრამ დადგა 1941 წელი და .....

....საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში მცხოვრები ყველა გერმანელი, გარდა იმ ქალბატონებისა, რომლებიც გათხოვილნი იყვნენ ქართველებზე ან სხვა ეროვნების მამაკაცებზე, გადაასახლეს შუა აზიაში. ეს დიდი დარტყმა იყო არა მარტო მათთვის, არამედ ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვისაც. მოიშალა აწყობილი მეურნეობები და რაც მთავარია საზოგადოებრივი ურთიერთობები. აღნიშნულის გამოსწორების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსახლებულნი იქნენ მოქალაქენი, რომელთაც ეწოდათ სართიჭალელები. გერმანული სოფლების დასახლებები მხოლოდ მოგონებად დარჩა. მაგალითად, ახლანდელი დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, რომელსაც როზენფელდი ეწოდებოდა, ხოლო კომუნისტების დროს ტელმანის ქუჩა, ცნობილია რამდენიმე აქ მაცხოვრებელი შვაბების გვარები ბერაძეები ცხოვრობენ ურლიხ ბაუერის კუთვნილ საკარმიდამოში, მოსიძეები-დავიდ შილეს,

ჰომბურგელები და სართიჭალელები

სართიჭალა. მემორიალის გახსნა შვაბთა სასაფლაოზე

ბედოიძეები ფრიდა დამის, სიბოშვილები (დავითი) იაკობ ბეკის, ჩოქურები- ლიდა ბაუერის, გიბიშვილები-ფრიდს კოტრინის, დევაძეები - იმილ მიულერის, კირვალიძეები-ედვარდ ბეკის, წიქარიშვილები-ადოლფ კოტრინის, სიბოშვილები (სულიკო)- რობერტ მიულერის, ნათენაძეები-ნინა ჰოლტვარდის, ინასარიძეები-ლიდია ქიმლერის და სხვა. ახლანდელი საკრებულოს გვერდზე სახლობდნენ: ჰალდი, აიტალი, მერკლე, შპიცი, ბეკერი, გეგელი, პლინინგერი, გაზერტი და სხვა.

გერმანელი შვაბები დღესაც კი გულის ტკივილით იგონებენ, რომ იოსებ სტალინმა მათი და ქართველების 125 წლიან თანაცხოვრებას რამდენიმე დღეში გაუკეთა ლიკვიდაცია. სტალინის მხრიდან ასეთი დამოკიდებულება შვაბებისადმი უფრო იმიტომ იყო სამწუხარო, რომ ბელადმა თავის სიდედრს (იგი შვაბი აიხოლცების შთამომავალი იყო) მცირედი შეღავათიც კი არ გაუწია და ყველა მისი ნათესავიც მოუსავლეთში გააგზავნა.

რას ვიზამთ ცხოვრება ცხოვრებაა, პოლიტიკა კი პოლიტიკაა.

შვაბები შუა აზიაში ძალიან ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ (თუ ერქვა მათ ყოფას ცხოვრება). ბევრმა ვერ გადაიტანა და გარდაიცვალა. დანარჩენებმა კი ჩვეული დაუღალავი შრომისმოყვარეობით დაიწყეს ბრძოლა გადარჩენისათვის. მუხლჩაუხრელმა შრომამ შედეგი გამოიღო და გერმანული დასახლებები შუა აზიის ოაზისებად იქცა. მათი განსაკუთრებული შრომის წარმოსაჩენად ერთი მაგალითიც კმარა. მკაცრ ყინვებს ხეხილი ვერ უძლებდა, ხმებოდა. ამიტომ შემოდგომით, ზამთრის დადგომამდე, შვაბები ხეხილის გასწვრივ თხრიდნენ არხებს და ხეებს გაზაფხულამდე შიგ მარხავდნენ, ხოლო როგორც დათბებოდა ისევ წამოაყენებდნენ და ასე ინარჩუნებდნენ საკვების ამ ერთ-ერთ საშუალებას.

სართიჭალა კი იზრდებოდა, მაგრამ შვაბების გაკეთებულ ნაგებობეს, კომუნკაციებს, გზებს და სხვა დანატოვარს ბევრი არაფერი შემატებია. პირიქით, ვაიხელმძღვანელთა წაყრუებით მოქმედიც უმოქმედო გახდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ადამიანისათვის ერთ-ერთ ყველაზე წმინდას საფლავებსაც კი შეეხო ზოგიერთი ვაიქართველის მსახვრალი ხელი. ითელებოდა ამ სოფლის დამაარსებლის - გერმანელი შვაბების (წარმოშობით ქართველების) საფლავები და მათ ადგილას ხდებოდა სხვათა დაკრძალვა. სანაგვეზე იყრებოდა ჯვრები და საფლავის ქვები, რომელზეც ქრისტეს მონოგრამაა გამოსახული და რომელიც უტყუარი საბუთია შვაბთა მართლმადიდებლობისა. ხელისუფლება როგორც კომუნისტების, ასევე არაკომუნისტების პერიოდში დუმდა. ერთადერთი ადამიანი ვინც ითხოვდა შვაბების საფლავების დაცვას, სართიჭალის ერთ-ერთი კოლორიტი ქალბატონი ნაზიკო გამცემლიძე-ასათიანისა გახლდათ. იგი საოცარი რუდუნებით

აგროვებდა საფლავებიდან გადაყრილ სიწმინდეებს, აგროვებდა განადგურებული სამარხების მიწას და ყოველთვის სანთელს უნთებდა შვაბებს. მან შვაბთა საფლავების დაცვისათვის მიმართა გერმანიის საელჩოს. საქმე მალევე დაიწყო. გერმანულ-ქართული ახალგაზრდული პროექტის საფუძველზე 2009 წლის ოქტომბერში სართიჭალაში ჩამობრძანდნენ: დიაკონური საზოგადოების თავმჯდომარე ქრისტიანე ჰუმელი, პასტორები ჰან-იოახიმ კიდერლენი, ვიქტორ მიროშნიჩენკო და ირინა სოლეი, გერმანიის ქალაქ ჰომბურგის საარფალც-გიმნაზიის დირექტორი დოქტორი იურგენ ჰელვიგი, მასწავლებლები- გიზელა ჰელვიგ-მაიერი და სიმონე ლუკასი, გიმნაზიის მოსწავლეები: სენდი ფკაიფერი, ლიზა ჰარსი, სანდრა მიუსელი, მარვინ მიულერი, იაკობ შტაიცი, ანა ბერლიხი, ქრისტოფ ბერლიხი და კლაუდია ჰერმესი. ევანგელიურ-ლუთერანული ეკლესიის (საქართველოში) მრევლი და მოსწავლეები: სოფიო პეტროსიანი, მიხეილ მიქელაძე, მარტა ხანდამაშვილი, იულია გორგიჯანიძე, ოლგა ლიზუნოვა, დავით ჯანდიერი, მიხეილ კრუპიცკი, ნინა პეტროსიანი, ალექსანდრე კაიზერი, ირინა ფომინა, ალექსანდრე ფელდმაიერი, გაგიკ ბელიევი, ვალტერ ჯიშკარიანი, ვლადიმერ ლიზუნოვი, ალბერტ მერაბოვი, სანდრო ჭეიშვილი, სანდრო შენგელია, ვლადიმერ შენგელია, ლაშა გორგიძე, მარიამ მენთეშაშვილი და არკადი ვასილიევი. აი რას წერდა ევანგელიურ-ლუთერანული ეკლესიის (საქართველოში) საეკლესიო მაცნე: "პროექტ სართიჭალის გერმანული სასაფლაოს" არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანელ და ქართველ ახალგაზრდებს ყოფილი გერმანული დასახლება გაეხსენებინათ: სასაფლაოზე გერმანელთა საფლავების მონაკვეთი აღედგინათ და არქიტექტორ გივი მეტრეველთან და მის ხელოსნებთან ერთად მემორიალი აეგოთ".

გერმანელი სტუმრები და მათი მასპინძლები ერთი კვირის მანძილზე სპეციალური ავტობუსით ჩამოდიოდნენ სართიჭალაში და 2009 წლის 17 ოქტომბერს მემორიალი გაიხსნა.

სართიჭალელებმა კიდევ ერთხელ იხილეს გერმანელთა შრომა და საქმისადმი დამოკიდებულება. ის, რაც საკუთარ სამშობლოში წაუყ - რუეს ქართველებმა, გერმანელებმა მოაწესრიგეს. ყურადღების ცენტრში ქ-ნი ნაზიკო გახლდათ. ყველანი ეფერებოდნენ მას. ის კი სართიჭალელებთან ერთად ხან ღვინით, ხან ყურძნით, თხილით და სხვა ნუგბარით უმასპინძლდებოდა მისი ოცნების აღმსრულებლებს. მემორიალის გახსნის დღეს ქ-ნმა ნაზიკომ გერმანიის ელჩს საქართველოში დოქტორ პატრისია ჰილდეგარდ ფლორს მადლობის წერილი გადასცა:

მის აღმატებულებას, გერმანიის ელჩს საქართველოში
დოქტორ პატრისია ჰილდეგარდ ფლორს

**თქვენო აღმატებულებავ,**

სოფელ სართიჭალის მოსახლეობის სახელით უღრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ დახმარებისათვის, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ გერმანელი შვაბების საფლავების აღდგენის საქმეში. მათი საქართველოდან მარადიორული წესით გადასახლებიდან 68-ე წლისთავზე, ყოფილი სოფელ მარიენფელდის სასაფლაოზე გაკეთდა შესანიშნავი მემორიალი, რომელიც ყოველდღიურად გაგვახსენებს იმ დიდი ღვაწლს, რომელიც შვაბებმა შეიტანეს ჩვენი სოფლის განვითარების საქმეში. დღემდე შემორჩენილია მათ მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლები, ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობები, ხიდი და კირხე. ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, კომუნისტების მიერ აშენებული კულტურის სახლის მარწუხებშია მოქცეული.

პირადად მე, 1941 წლიდან შესაძლებისდაგვარად ვუვლიდი მათ საფლავებს, მაგრამ ჩემმა და რამდენიმე ჩემი თანამოაზრის მცდელობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ახლა კი ჩვენი გულები სავსეა სიხარულით, რადგან ქ. ჰომბურგის საარფალც-გიმნაზიის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, საქართველოში არსებულ ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის მრევლთან ერთად, სასწაული მოახდინეს და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად ააშენეს შესანიშნავი მემორიალი.

თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ ჩემი და ჩემი თანამოაზრეების სახელით მადლობა გადაუხადოთ ქ. ჰომბურგის საარფალც-გიმნაზიის დირექტორს ბ-ნ იურგენ ჰელვიგს, მის მეუღლეს ქ-ნ გიზელა ჰელვიგ-მაიერს, გიმნაზიის ისტორიისა და ხელოვნების მასწავლებელს ქ-ნ სიმონე ლუკასს და მათ მოსწავლეებს. აგრეთვე გთხოვთ მადლობა გადაუხადოთ საქართველოში არსებულ ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის დიაკონიის თავმჯდომარეს ქ-ნ ქრისტიანა ხუმელს, ამავე ეკლესიის პასტორს-ვიქტორს (მიროშნიჩენკო) და მის მრევლს.

კიდევ ერთხელ გმადლობთ. თქვენ ჩვენი ოცნება რეალობად აქციეთ.

პატივისცემით, საინიციატივო ჯგუფის
სახელით ნაზი გამცემლიძე ასათიანისა.

**17 ოქტომბერი 2009 წელი**
**საქრათველო. სოფელი სართიჭალა.**

მემორიალის გახსნის შემდეგ, არა მარტო ქ-ნმა ნაზიკომ, არამედ ყველა ღვთისნიერმა ადამიანმა შვებით ამოისუნთქა. თითქოს საფლავების მოწესრიგებით დიდი და მძიმე ტვირთი მოეხსნათ მხრებიდან. დაწყნარდა შვაბთა სულები.....

სართიჭალელებმა, გერმანელთა დახმარებით, პატივი მიაგეს იმ ხალხის ხსოვნას, ვინც საუკუნეზე მეტ ხანს იზრუნა მათი სართიჭალელობისათვის.






Копія съ отношенія Тифлисскаго Управленія Земледѣлія и Государственныхъ Имуществъ отъ 27 Сентября 1913 года за № 13583. Въ Межевое Присутствіе при Тифлисской Судебной Палатѣ.

Шульцы колоній Маріенфельдъ и Петерсдорфъ и Старшина Сартачальскаго сельскаго общества, Тифлисскаго уѣзда, подали прошеніе, въ коемъ ходатайствуютъ о командированіи Землемѣра для возстановленія межевыхъ знаковъ между селеніемъ Муганло и колоніями Маріенфельдъ и Петерсдорфъ со стороны рѣки Іоры, а также между Сартачальскими землями и землями сел. Маріенфельдъ.

Поэтому Управленіе покорнѣйше проситъ Межевое Присутствіе командировать на мѣсто при первой возможности Землемѣра для указанной цѣли и о послѣдующемъ не отказать увѣдомить Управленіе. Вр. И. Д. Начальника Управленія №. За Дѣлопроизводителя №.

Съ подлиннымъ вѣрно ./. Старшій Землемѣръ

ქალბატონი ნაზიკო გერმანიის საელჩოს
წარმომადგენლებთან ერთად

სართიჭალა.
ევანგელიურ-
ლუთერანული
ეკლესიის
კედელი.

სართიჭალა. ევანგელიურ-ლუთერანული ეკლესიის საკურთხეველი. ამჟამად აქ კულტურის სახლია განთავსებული

შვაბები

ყაზახეთი. შვაბების მიერ მიწაში ხეხილის
დაფლვა (გამოსაზამთრებლად)

ს ა რ თ ი ჭ ა ლ ა . შ ვ ა ბ თ ა მ ი ე რ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი ს ა

ქალბატონი ლენა კოტრინი შვილთან - სულიკოსთან ერთად

ქალბატონი ნაზი გამცემლიძე - ასათიანისა

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გ. ბურჭულაძე "გერმანელთა ახალშენები ამიერკავკასიაში" - ტიფლისი 1911 წ.
2. ვ. მანჯგალაძე "გერმანელი კოლონისტები ტრანსკავკასიაში"-თბ. 1974 წ.
3. ა. სონღულაშვილი "გერმანელები საქართველოში" თბ. 1995 წ.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 5. თბ. 1980 წ.
5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი თბ. 2004 წ.
6. გაზეთ "ასავალ-დასავალი" 5 (801) 2010 წ.
7. მონაზონი ნიკოლოზი (ნარიმან მაქარაშვილი) "წერილები ბიძას ჭადრაკზე" 2009 წ.
8. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი
   ფონდი 4 აღწერა 2 საქმე 586
   ფონდი 113 აღწერა 13 საქმე 582,583,584,754,755
   ფონდი 254 აღწერა 1 საქმე 1334,1953
   ფონდი 254 აღწერა 2 საქმე 2083
   ფონდი 1693 აღწერა 1 საქმე 69
   ფონდი 226 აღწერა 1 საქმე 108
   ფონდი 204 აღწერა 1 საქმე 1472
   ფონდი 227 აღწერა 1 საქმე 12,15,52
   ფონდი 1692 აღწერა 1 საქმე 39,10,23
   ფონდი 1726 აღწერა 1 საქმე 50
   ფონდი 1693 აღწერა 1 საქმე 54
9. П. В. Дзюбенко, "Виноделие на кавказе", Тифлис 1886 год.
10. Т. Гумбатова "Немцы в семье Сталина" (Из интернета)
11. ევანგელიურ-ლუთერანული ეკლესია საქართველოში "ლიტერატურული მაცნე" 12.2009 2010 წ.წ.

**იოსებ სიბოშვილი:** ,,დამიჭირეს მკლავი მომჭრეს რატომ კარგი აგიგია". ლეგენდის ეს სიტყვები რამდენად შეეფერება სიმართლეს არავინ იცის. ფაქტია, რომ საქართველოს უდიდესი სიწმიდის— სვეტიცხოვლის აღმშენებლის შესახებ, გარდა გვარისა (თუ ისიც არ არის შეთხზული), არაფერი ვიცით. არათუ ფრესკა, საფლავიც კი არავინ იცის მისი. ასეთი მაგალითები უამრავია საქართველოს როგორც ადრეულ, ისე უახლეს ისტორიაში. ერთ-ერთი განსაკუთრებული მოვლენა იყო, რამდენიმე ათეული წლის წინ, გერმანელი შვაბების მოულოდნელი აყრა და გადასახლება საქართველოდან შორეულ ყაზახეთში. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც ჩვენს სამშობლოში თითქმის 125 წლიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში, დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის სოფლებისა და ქალაქების აღორძინების საქმეში. მაშინდელმა ხელისუფლებამ აბსოლუტურად დაუცველი დატოვა შვაბების კულტურული მემკვიდრეობა. ხოლო რაც შეეხება მათ საბოლოო განსასვენებელს, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიანი ადამიანი (ამ საქმის გამკეთებლებს თუ ჰქვიათ ქრისტიანები!?) მას საკუთარი სურვილის დასაკმაყოფილებლად იავარქმნიდა. მე ასეთს და მისი ქმედების შემხედვარე მდუმარე არსებებს ვერც ქართველებად, ვერც ქრისტიანებად და მითუმეტეს ვერც ადამიანებად ვერ აღვიქვამ.

რომ არა ქალბატონი ნაზიკო გამცემლიძე-ასათიანის ,,ოთარაანთ ქვრივობა," დღეს საქართველოში კიდევ ერთხელ განმეორდებოდა ,,მკლავმოჭრილთა" ლეგენდა, კიდევ ერთხელ შევცოდავდით უფალს და კიდევ ერთხელ გაფერმკრთალდებოდა ჩვენი სამშობლოს ავტორიტეტი მსოფლიო ხალხების წინაშე.

შვაბთა მემკვიდრეობისა და განსასვენებელის დაცვის საქმეში გაწეული უდიდესი წვლილისათვის, ქალბატონმა ნაზიკომ საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი სართიჭალის კოლორიტების კრებულში.